PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯ „ბლექსი“-ში
შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
გივი დოლიძე

(შუახევი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 ივნისის N559561 ბრძანების საფუძველზე სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ შედუღების“ პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა გასაუბრების განრიგი.

განრიგის შესაბამისად 2021 წლის 24 ივნისს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ადმინისტრაციასთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; დოკუმენტაციის ანალიზი დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1

5. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია დადგენილ ვადებში განხორციელდეს საგანმანათლებლო რესურსის - საერთაშორისო სტანდარტების შესყიდვა და ყველა მათგანის თარგმნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	№01-02/134 03. 06. 2021 წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24 მოდულური; შუახევის მუნიციპალიტეტი, დაბა შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქ. №8.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

|კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას : 2018 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ,,ENPARD – 2“ მხარდაჭერით მაღალმთიან აჭარაში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ უახლესი 2-3 წლის განმავლობაში ოთხივე მუნიციპალიტეტში აქტუალურია კვალიფიციური სამუშაო ძალაზე მოთხოვნა სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა პროფესიული სწავლებისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების აუცილებლობა. ერთ - ერთ მოთხოვნად პროფესიად გამოიკვეთა - შედუღება. მთის განვითარებაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ, შუახევის მისამართზე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გარემონტდა და კოლეჯს გადმოეცა შენობა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის შექმნის მიზნით. გადაწყვეტილება ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ მიღებულია ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რაც ასახულია განაცხადის თანდართულ დოკუმენტში „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“. გადაწყვეტილება შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. 2019 წელს შემუშავებულ სტრატეგიაში კოლეჯმა ჩამოაყალიბა ხედვა მაღალმთაინ აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის შექმნასთან დაკავშირებით. პროგრამის დამატება დაგეგმილი იყო 2020 წელს და შეფერხდა შექმნილი COVID ვითარების გამო. შესაბამისად, 2021 წლის სამოქმედო გეგმაში აისახა ,,შედუღების“ პროგრამის დამატების საკითხი. კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო - დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“, რომელიც ეფუძნება დემინგის სისტემის მოდელს. რეგულაციის შესაბამისად, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რაც უნდა გამომდინარეობდეს კოლეჯის სტრატეგიიდან/ მისიიდან. მისიის მიხედვით კოლეჯი მრავალპროფილური დაწესებულებაა. ,,შედუღების“ პროგრამის დამატება გათვალისწინებულია შვიდწლიანი სტრატეგიული და 2021 წლის გეგმებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯის გადაწყვეტილება ,,შედუღების“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება მის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დამტკიცებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: საბაზო განათლება და ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა („სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“). კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურა. დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და კანონმდებლობით დარეგულირებული პროცედურები უზრუნველყოფენ პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

კოლეჯის **დირექტორის 2020 წლის 04 ივნისის №01-02/91 ბრძანებით(მასში ცვლილება შევიდა 01-02/121; 27.05.2021 ბრძანებით) დამტკიცებულია** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რაც ითვალისწინებს: პროგრამის განხორციელების მიდგომებს, მის სპეციფიკას, ადამიანურ რესურსს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს, მატერიალური რესურსის რაოდენობას და სხვა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ინფორმაცია თუ, როგორ იქნა გაანგარიშებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. კოლეჯი პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ „შედუღება“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან. ანალიზით და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

დირექტორის ბრძანებით დამიტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,შედუღება“ გათვალისწინებული არ არის არჩევითი მოდული.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (29-ე მუხლი) პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, წარმოდგენილი მოდულური პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი “ბლექსი“ დირექტორის მიერ.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შედუღება“ სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

შედუღება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „შედუღება“ . დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის პაკეტი მოიცავს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებს, სასწავლო გეგმას, ინფორმაციას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული - „ქართული ენა A2“ და აღნიშნული მოდულის განხორციელების სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებული ვებგვერდზე. - http://blacksea.edu.ge.
- სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანება (ცვლილებებით);
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- ,,სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი “ დირექტორის 2020 წლის 04 ივნისის №01-02/91 ბრძანებით (ცვლილება- 01-02/121; 27.05.2021 ბრძანებით).
- კოლეჯის ,,ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებიული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139 ბრძანებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი - სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 3 ივნისის 01-02/134 ბრძანება; ,,მოდულური პროგამის „შედუღება“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის ბრძანება - 01-02/88; 01 აპრილი 2021;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების სამკითხველო დარბაზში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დაწესებულებამ კონტიგენტის განსაზღვრისას გაითვალისწინა: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 12; B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა -12; C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 12; აღნიშნული პროგრამის C გარემოსთვის გამოყოფილია 43 კვ.მ. ფართობი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის წარმოდგენის დროს სასწავლო რესურსის ნაწილი იყო შესასყიდი, კოლეჯს წარმოდგენილი ქონდა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის მიერ 2021 წლის 3 ივნისის №01-02/136 ბრძანების საფუძველზე) რომლის მიხედვითაც კოლეჯს უნდა შეეძინა მატერიალური რესურსის ნაწილი, რომელიც არ ჰქონდა შეძენილი, თუმცა დისტანციური ჩართვის მომენტისთვის აღმოჩნდა რომ კოლეჯს უკვე შესყიდული ჰქონდა მატერიალური რესურსი, მათი მფლობელობა დადასტურდა, როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე მიღება ჩაბარების აქტებით. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. სრულყოფილად შესყიდულია სასწავლო აუდიტორიების და ლაბორატორიის აღჭურვილობა. აღსანიშნავია, რომ ,,შედუღების“ მოდულური პროგრამის ლაბორატორიისათვის 2020 წლის 31 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტით ,,გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) მიერ კოლეჯს საჩუქრად გადმოეცა შემდუღებელი აპარატის სიმულატორი.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 12 პროფესიული სტუდენტი), ჯამში 24 პროფესიული სტუდენტი. მოდული - „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მესამე შედეგის - „კონტროლის ზომები და “ბორტს მიღმა“ აღმოჩენილი ადამიანის ინციდენტის შემთხვევაში რეაგირების წესების განმარტება“ ფარგლებში ორგანიზებული იქნას სასწავლო ექსკურსია, კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დათვალიერების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი 3) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის N01-02/245 (ცვლილებით - 01/02/126 28.05.2021) ბრძანებით დამტკიცებულია ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ბლექსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები“, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია: საკონტაქტო საათების ჩატარება; მომზადება მეცადინეობებისთვის; შეფასების ინსტრუმენტების, კალენდარული გეგმის მომზადება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება და მტკიცებულებების მოპოვება/ შენახვა და სხვ. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. მასწავლებელთა დატვირთვის შედგენისას გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), რომლითაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება“ მიხედვით პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ თითოეული თანამდებობისთვის, შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის გათვალისწინებით. ,,შედუღების“ პროგრამაზე მასწავლებლები შერჩეული იქნა კონკურსის წესით. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნა მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციის არსებობა. შემდუღებლების შერჩევისა და მომზადების პროცესი განხორციელდა 2019 - 2020 წლებში, ,,გაეროს განვითარების პროგრამის” (UNDP) პროექტების ,,ENPARD 2” და ,,ENPARD 3“ ფარგლებში. პროექტის ფარგლებში ორი დარგის სპეციალისტი გადამზადდა დარგობრივ კომპეტენციებში და სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. სხვა პედაგოგთა (ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულები) შერჩევა განხორციელდა 2021 წელს ყველა მათგანთან გაფორმდა წინარე ხელშეკრულება. მათთვის კოლეჯის მიერ მაისის თვეში, მოწვეული ტრენერების მიერ, უზრუნველყოფილი იქნა 15-15 საათიანი ტრენინგები: ,,კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში''; ,,ეფექტური სწავლების მეთოდები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ განათლებაში". აღსანიშნავია, რომ პროგრამის დანერგვას ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით მხარდაჭერას გაუწევს ,,გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება“ (GIZ). დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;** კოლეჯი ასევე, გეგმავს ჩატარებული ტრენინგების გარდა საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ტრენინგების ჩატარებას სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

,,შედუღება“ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით (პროფესიით შემდუღებელი) და მუშაობის გამოცდილებით, მოქმედი დარგის სპეციალისტი. ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება შემდუღებლის პროგრამაზე , 2019 წლიდან არის ჩართული ,,გაეროს განვითარების პროგრამისა“ (UNDP) და GIZ მიერ ორგანიზებულ გადამზადებებში დარგობრივი კომპეტენციების განვითარების, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელი მტკიცდება პროგრამასთან ერთად. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია „სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“ დამტკიცებული - სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომი იქნება კოლეჯის შუახევის მისამართზე არსებულ სამკითხველო ოთახში და ელექტრონულად. სამკითხველო ოთახში სამუშაო სივრცე არის აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი. წარმოდგენილია ზოგადი/პროფესიული მოდულების ლიტერატურა ელექტრონული სახით. სამკითხველო ოთახში არსებული სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად, ასევე ასახულია კოლეჯის ვებ - გვერდზე http://blacksea.edu.ge/ OPENBIBLIO - ში. განსაზღვრულია სამკითხველო ოთახის ფუნქციონირებასა და პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, კოლეჯს გააჩნია პორტალი - http://elearning.blacksea.edu.ge/ სადაც, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, აიტვირთება განსახორციელებელი პროგრამების რესურსი, უფლების მოპოვების შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ შედუღების პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსი - საერთაშორისო სტანდარტების ნაწილი შესასყიდია და ყველა მათგანი სათარგმნია (სულ 7 დასახელება) კოლეჯის მიერ დამტკიცებულია ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის გეგმა. გასაუბრებით დგინდება, რომ შესაძლებელია პროცედურები უფრო ადრე დასრულდეს, ვიდრე ეს გეგმაშია გაწერილი, მაგრამ რისკების გათვალისწინებით მაქსიმალური ვადა - განსაზღვრული აქვთ 3 თვე(შესაბამისობის გეგმის ვადები - 02/06/2021 – 30/08/2021წ), დისტანციური ჩართვის დროს დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა ასევე დამატებითი დოკუმენტაცია, რაც შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ფინანსურ რესურსებს კიდევ უფრო დააზუსტებდა, კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 10 ივნისის 01/02-146 ბრძანება ფინანსური გეგმის(ბიუჯეტის) დამტკიცების შესახებ, დოკუმენტის ანალიზით ნათლად ჩანს საჭიროებების გათვალისწინებით ბიუჯეტის სტრუქტურა, ვადები და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია დადგენილ ვადებში განხორციელდეს საგანმანათლებლო რესურსის - საერთაშორისო სტანდარტების შესყიდვა და ყველა მათგანის თარგმნა.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/139 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებთან.ორი სასწავლო პროცესის ასისტენტი, ინდივიდუალური ასისტენტი, ასევე ჟესტური ენის თარჯიმანი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების გათვალისწინებით მორგება, ასევე, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში. აღნიშნული დასტურდება სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის №01-02/245 ბრძანებით, დადასტურდება პასუხისმგებელი პირების ინტერვიუირების გზით. ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული თანამშრომლების პოზიციები და რაოდენობა იცვლება საჭიროების მიხედვით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად). მოცემულ ეტაპზე კოლეჯს ჰყავს ერთი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის ,,შედუღება" განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს,როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები, ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს . რენტაბელობის ზღვარია 12 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 2- სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი;
- დანართი 3- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვებ - გვერდზე http://blacksea.edu.ge/ OPENBIBLIO;
- ჩუქებასთან დაკავშირებით მიღება - ჩაბარების აქტი.
- არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- მასწავლებლების მიერ ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ცნობები;
- სსიპ დირექტორის 2021 წლის 18 მარტის №01-02/64 ბრძანება „შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტის მისამართებზე სსიპ კოლეჯის „ბლექსი" სხვადასხვა პოზიციაზე შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის N01-02/245 (ცვლილებით - 01/02/126 28.05.2021) ბრძანებით დამტკიცებულია ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ბლექსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები“;
- დირექტორის ბრძანება ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტებთან სასწავლო ექსკურსიების განხორციელებაზე გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებები;
- შესაბამისობის გეგმა - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 3 ივნისის ს №01-02/136 ბრძანებით.
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა” ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე - გადახედე- გაუმჯობესე“ მოდელს. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია - „სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, 2018 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ,,ENPARD – 2“ მხარდაჭერით მაღალმთიან აჭარაში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა. დაწესებულებამ ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით 2020 წელს შეიმუშავა ახალი კითხვარები და კვლევების მეთოდოლოგიები, რომელთა საფუძველზეც განახორციელებს თავის საქმიანობას აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც. საჭიროების შემთხვევაში მოხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატებაც, კონკრეტული მიზნებისათვის. მეთოდოლოგიების და პროგრამის განხორციელების დასაბუთების ანალიზით, დასტურდება რომ, კოლეჯი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას .

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ მოქმედი რეგულაციები - „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა”, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დაწერსებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯი „ბლექსი“ ყველა მოქმედ პროგრამაზე აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში ზემოთჩამოთვლილი წესებისა და პროცედურის შესაბამისად. შედუღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში კოლეჯი გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-02/ 150 ბრძანება; (ცვლილება - ბრძ.№01-02/ 116 – 29/06/2020)
- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯში,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“;
- სხვადსხვა ტიპის კითხვარების ფორმები;
- კვლევების მეთოდოლოგია- განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე - http://blacksea.edu.ge/
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შედუღება“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებებისათვის.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯი მოქნილად მოახდენს რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა ცვლაში შუახევის მისამართზე არსებულ სასწავლო დაწესებულებაში, რითაც შესაძლებელია სტუდენტთა უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობა სხვადასხვა შემთხვევებისათვის (სსსმ სტუდენტის სტატუსი, მობილობა, სტატუსის აღდგება და სხვ). 2020 წელს პანდემიიდან გამოწვეული სასწავლო პროცესის შეფერხებიდან გამომდინარე კოლეჯმა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეიტანა შესაბამისი ცვლილებები, რამაც დაწესებულებას მისცა საშუალება მოქნილად მოეხდინა რეაგირება სხვადასხვა მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. ასევე, კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განხვავებულად, რაც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილია კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. მარეგულირებლით გათვალისწინებულია ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შედუღება“ სასწავლო პროცესი გაითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია მასწავლებლების კომპეტენციაც. პროგრამის ფარგლებში სასწავლო სახელოსნო აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით, მათ შორის არის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მიერ შეძენილი პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის ნაწილი - შემდუღებელი აპარატის სიმულატორი, ხოლო გერმანიის სამრეწველო პალატის კომპანია VELDPLUS - ის ინიციატივით შემდუღებელი აპარატის სიმულატორით სწავლებაზე კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ პროგრამის პოტენციური განმახორციელებლები, რომლებზეც მათ მიერ გაცემული იქნა „შედუღების დამატებითი რეალური პროგრამის ცოდნის“ დამადასტურებელი სერტიფიკატი. დაწესებულება გეგმავს კოვიდ - 19 პანდემიით მიღებული დადებითი გამოცდილება დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით შეინარჩუნოს პროგრამების ფარგლებში, იქ, სადაც ეს აშკარად უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას, კოლეჯი გაიითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ისგ - ის მიხედვით სწავლება (მაგალითად მობილობით გადმოსული ან სტატუსაღდგენილი პირები).

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და ეს საჭიროებისთანავე ამოქმედდება ამ პროგრამაზე. ასევე, შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქცია. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები გათვალისწინებულია კოლეჯის შუახევის მისამართზე არსებულ სასწავლებელში - ამ პროცესში ჩართულ პირთა სამუშაო აღწერილობები (უფლება - მოვალეობები, შიდა ურთერთკავშირი) იძლევა ცხადსურათს იმის თაობაზე თუ რამდენად სწორად აქვს დაწესებულებას გაანალიზებული ეს პროცესები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ არ ითვალისწინებს მოდულებს - გაცნობითი პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკას და შესაბამისად ამ პროგრამაზე თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არ ხორციელდება. გამონაკლისს წარმოადგენს მოდული - „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მესამე შედეგის - „კონტროლის ზომები და “ბორტს მიღმა“ აღმოჩენილი ადამიანის ინციდენტის შემთხვევაში რეაგირების წესების განმარტება“ ფარგლებსი ორგანიზებული იქნას სასწავლო ექსკურსია სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში. იმის გათვალისწინებით, პროგრამა განხორციელდება შუახევში და საჭიროა პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირება, გაფორმებული იქნა ხელშეკრულება, რომელშიც მხარეთა უფლებამოვალეობანი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებია გაწერილი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროგრამის შესაბამისი უსაფრთხო სამუშაო გარემოთი სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის №01-02/18 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ჟურნალის“ ფორმისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2020 წლის 05 ივნისს №01-02/92 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული მოდულებისათვის შრომის ინსტრუქტაჟის გაწევის ვალდებულების საკითხი. შედუღების პროგრამისათვის შემუშავებული აქვს ცალკე რეგულაცია სასწავლო გარემოში უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი დირექტორის 2021 წლის 3 ივნისის №01-02/135 ბრძანებით), შესაბამისად სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა-საგანმანათლებლო პროგრამა ,,შედუღება“ - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 03 ივნისის №01-02/134 ბრძანებით;
- კალენდარული გეგმის ფორმა და წარმოების წესი“ დამტკიცებული სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №01-02/101 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის 301-02/139 ბრძანება (ცვლილებებით);
- ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01-02/114 ბრძანება;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი - №01-02/135 ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ჟურნალის“ ფორმისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/92 ბრძანება;
- სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ასახულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის, შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულების მიმართ წაყენებული მოთხოვნების, შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების (ვალიდაციის), შეფასების ადმინისტრირების, პროფესიულ სტუდენთა ინფორმირების, განმეორებითი შეფასების საკითხები დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტებით: ,,ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“, მექანიზმი დამტკიცდა სსიპ კოლეჯის “ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/93 ბრძანებით(ცვლილებები განხორციელებულია 2021 წლის 23 მარტის №01-02/72 ბრძანებით) . რეგულაციების ანალიზით დგინდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, დოკუმენტები განთავსებულია კოლეჯის ვებ - გვერდზე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 5 ივნისის №01-02/93 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2021 წლის 23 მარტის №01-02/72 ბრძანებით) დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. რეგულაცია და ცვლილებები შემუშავდა ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე და კოლეჯი თავის საქმიანობას წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაშიც განახორციელებს აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად. ვერიფიკაციის მექანიზმში გაწერილია პასუხისმგებელი პირები, ვერიფიკაციის მიმართულებები, რისკების სისტემა, ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირების და დასკვნის მომზადება-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხილვის დეტალები, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციაში გაწერილია (მუხლი 8) შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესი და პროცედურები. წესი ითვალისწინებს უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას. შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადად განსაზღვრულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული გათვალისწინებულია ვერიფიკაციის მექანიზმით. ასევე, დაწესებულება არსებული რეგულაციების შესაბამისად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რაც ასევე გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდზე განთავსებული 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის “ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/93 ბრძანებით. (ცვლილება- №01-02/72; 23.03.2021).
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

1.07.2021 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: